”ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მხარდამჭერი” პროექტის ფარგლებში ”მზრუნველობამოკლებული ბავშვის შვილობილად აყვანის” პროგრამაში არსებული განათლების სოციალური მუშაკების თვისობრივი კვლევის ანგარიში

მაისი, 2007 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მოკლე ანოტაცია ... 3

ძირითადი მიგნებები ... 3

მიმღები ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება ... 3

იდეალური მიმღები ოჯახის პერსონიფიკაცია და სამომხმარებლო ქცევის დახასიათება ... 3

მზრუნველობამოკლებული ბავშვი - ირაციონალური შეფასება ... 4

კვლევის დიზაინი ... 5

კვლევის მიზანი ... 5

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტები ... 5

კვლევის მონაწილეები ... 5

კვლევის მიმდენარეობა და ეტაპები ... 5

შედეგები ... 6

მიმღები ოჯახების მოძიების სისტემები ... 6

- *მოძიების მეთოდები ... 6*
- *შეფასების სისტემა ... 8*
- *პრობლემები მიმღები ოჯახების მოძიებისას ... 8*

საინფორმაციო კამპანია ... 11

- *ინფორმაციის გავრცელების მეთოდები ... 11*
- *პირველადი საინფორმაციო წყაროები ... 12*
- *საინფორმაციო კამპანიის შეფასება ... 12*

სამომხმარებლო ქცევის დახასიათება ... 13

- *ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები ... 13*
- *შვილობილის აყვანის მოტივები ... 14*
- *მოთხოვნები შვილობილის მიმართ ... 14*
- *საზოგადოების განწყობა ... 15*
- *მიმღები ოჯახების პრობლემები და დაბრკოლებები ... 15*

პროგრამის შეფასება ... 16

- *სოც. მუშაკის სამუშაო პირობების შეფასება ... 16*
- *შვილობილობის პროგრამის ნაკლოვანებები ... 16*
- *არსებული ტრენინგის შეფასება ... 19*

იდეალური მიმღები ოჯახი ... 20

სოციალური მუშაკების რეკომენდაციები ... 20

1. მოკლე ანოტაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე "მზრუნველობამოკლებული ბავშვის შვილობილად აყვანის" პროგრამის ფარგლებში არსებული სოციალური მუშაკების თვისობრივი კვლევის ანგარიშს, რომელიც მომზადდა აღნიშნული პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტების მიერ. კვლევა მიმდინარეობდა 2007 წლის აპრილის თვეში.

ძირითადი მიგნებები

<u>მიმღებ ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება</u>

- ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მუშაკები ცდილობენ ბავშვების საუკეთესო გარემოში განთავსებას. ამას მოწმობს ის, რომ პოტენციური მიმღები ოჯახის შეფასების დროს დასახელებული კრიტერიუმები მნიშვნელოვნად ემთხვევა „იდეალური მიმღები ოჯახის" დახასიათების კრიტერიუმებს;
- მიმღები ოჯახების მოძიების რაიმე განსაზღვრული მეთოდი არ არსებობს. მათი მოძიებისთვის მუშაკები მართავენ შეხვედრებს საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, როგორიცაა, სკოლა, გამგეობა და პროგრამის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას, არიგებენ ბროშურებს, თუ ისინი ხელთ აქვთ. თუმცა, ეს ხდება სპონტანურად და უსისტემოდ;
- ინფორმაცია ძირითადად ვრცელდება ინდივიდუალურ პირად საუბრებში;
- სოციალური მუშაკები მჭიდროდ თანამშრომლობენ მიმღებ მშობლებთან და ყველა წარმოქმნილ პრობლემას ერთობლივად უმკლავდებიან;
- ძირითადი პრობლემები, რომლებსაც მიმღები ოჯახები აწყდებიან შვილობილის აღზრდისას ეს არის მათი ბავშვთა თავშესაფრიდან მოყოლილი ფსოქოლოგიური ტრავმები და მავნე ჩვევები;
- მიმღები მშობლები თავიდან ვერ აცნობიერებენ შვილობილის აღზრდის მთელს სირთულეს;
- მიმღები ოჯახების შეფასებისას სოც. მუშაკები ხელმძღვანელობენ როგორც სპეციალური ანკეტით, სადაც ჩამოთვლილია მიმღები მშობლისთვის აუცილებელი პიროვნული, მატერიალური და სოციალური მახასიათებლები, ასევე პირადი პროფესიული თვალსაზრისის გათვალისწინებით. ოჯახის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სოციალური მუშაკები ამოწმებენ სხვადასხვა წყაროებთან, როგორიცაა სამეზობლო, სანათესაო, სამუშაო ადგილი და სხვა;
- სამუშაო პირობების მიმართ სოც. მუშაკები შემდეგ შემაფერხებელ გარემოებებს ასახელებენ: კადრების სიმცირე; ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების სიმწირე.

<u>იდეალური მიმღები ოჯახის პერსონიფიკაცია და სამომხმარებლო ქცევის დახასიათება</u>

- ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად სახელდება მიმღები მშობლის ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილება და ბავშვებისადმი სიყვარული.
- ხდება სასურველი ბავშვის გამორჩევა ჯანმრთელობის, ეროვნული, ასაკობრივი, სქესობრივი, რელიგიური ნიშნით. უმეტესწილად მცირე ასაკის ჯანმრთელ გოგონას შვილობილობის სურვილი გამოითქმის.
- ძირითადად პოტენციური მიმღები ოჯახები თვითონ მიმართავენ სოც. მუშაკებს პროგრამით სარგებლობის სურვილით.

- სოც. მუშაკების თქმით, უმრავლეს შემთხვევაში მიმღებ ოჯახებში აღინიშნება შვილობილად აყვანილი ბავშვის შემდგომი შვილების დიდი სურვილი.
- შვილობილის აყვანის სურვილით სოც. მუშაკებს ძირითადად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მიმართავენ. თუმცა, არის რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც ინიციატორი ოჯახში მამაკაცი იყო.
- შვილობილის აყვანის ძირითადი მოტივი არის სიბრალული ამ ბავშვების მიმართ და ქველმოქმედება/კეთილი ნება. თანხა განიხილება მნიშვნელოვან სტიმულად.

<u>მზრუნველობამოკლებული ბავშვი - ირაციონალური შეფასება</u>

რაციონალურ მსჯელობებთან ერთად, გამოყენებული იყო პროექციული მეთოდი თავისუფალი ასოციაციების სახით, მზრუნევლობამოკლებული ბავშვების მიმართ სოციალური მუშაკების განწყობების და დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, მოდერატორი ასახელებდა ტერმინს "მზურველობამოკლებული ბავშვი" და სთხოვდა რესპონდენტებს, სპონტანურად / ფიქრის გარეშე დაესახელებინათ ყველა ის წარმოდგენა, შინაარსი, იდეა თუ ემოცია, რის ასოციაციასაც იწვევდა აღნიშნული ტერმინი.

ძირითადი ასოციაციები:

- დახმარება/ზრუნვა;
- ბავშვი ბავშვთა სახლში;
- მიტოვებული/გადაგდებული ბავშვი;
- ბავშვს აკლია სიახლოვე;
- ობოლი;
- მზრუნველი არ ჰყავს/უყურადღებობის მსხვერპლია;
- ბავშვი სიყვარულის გარეშე;
- ბავშვს აკლია ოჯახი/მშობლის ყურადღებას მოკლებული;
- სითბოს დეფიციტი;
- საცოდაობა;
- ტკივილი;
- ბავშვი, რომელსაც აკლია ყურადღება, განათლება, ჯანმრთელობა;
- ბავშვი არ არის სუფთა;
- ბავშვი, რომლის უფლებებიც დარღვეულია;
- დათრგუნული ბავშვი;
- სახელმწიფო პროგრამა;
- არასრულფასოვანი ოჯახი/ბავშვი;
- დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები;
- მოლოდინით სავსე თვალები;
- მადლიანი საქმე.

2. კვლევის დიზაინი

კვლევის მიზანი

კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე "მზრუნველობამოკლებული ბავშვის შვილობილად აყვანის" პროგრამის ფარგლებში არსებული სოციალურ მუშაკების მუშაობის სპეციფიკის და პროგრამისადმი დამოკიდებულების შესწავლა.

განხორციელებული ფოკუსური ჯგუფური დისკუსიების შედეგად შესაძლებელია:

- "მზრუნველობამოკლებული ბავშვის შვილობილად აყვანის" პროგრამას სუსტი მხარეების განსაზღვრა;
- იდეალური მიმღები ოჯახის იდენტიფიკაცია, მისი შერჩევის კრიტერიუმების დადგენა;
- სოციალური მუშაკების რეკომენდაციების შემუშავება;
- განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის შეფასება.

კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტები

კვლევაში გამოყენებული იქნა ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის მეთოდი. ეს ითვალისწინებს რესპოდენტების ჯგუფურ გამოკითხვას პირისპირ და არასტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით ჯგუფის მოდერატორის მიერ.

დისკუსიები განხორციელდა წინასწარ მომზადებული კითხვარის გამოყენებით. ვინაიდან თვისობრივი კვლევის მიზანია ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრების იდენტიფიცირება, სადისკუსიო საკითხების თავისებურებიდან გამომდინარე, თითოეული ჯგუფის კვლევის ხანგრძლივობა შეადგენდა 90 - 120 წუთს.

ფოკუსური ჯგუფური დისკუსიებისას გამოყენებულ იქნა ჩამწერი აპარატურა (დიქტოფონი და ვიდეო კამერა), რომლის საფუძველზეც შეიქმნება კვლევის დეტალური ტრანსკრიპტი. აღნიშნულს კი დაეყრდნობა კვლევის სრული ანგარიში.

კვლევის მონაწილეები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში სულ განხორციელდა 8 ფოკუსური ჯგუფური დისკუსია თბილისში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, რუსთავსა და თიანეთში. კვლევის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ პროგრამის ფარგლებში არსებული სოციალური მუშაკები. სოციალური მუშაკების სია მოწოდებულ იქნა განათლების სამინისტროს მიერ.

კვლევის მიმდენარეობა და ეტაპები

აღნიშნული კვლევა მიმდინარეობდა 2007 წლის აპრილის განმავლობაში. პირველ ეტაპზე განხორციელდა ქალაქ თბილისში მომუშავე სოციალური მუშაკების კვლევა. მეორე ეტაპზე - საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მომუშავე სოციალური მუშაკების კვლევა.

კვლევის ეტაპები და მათი განხორციელების ვადები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

#	კვლევის ეტაპები	კვლევის ვადები										
		ა პ რ ი ლ ი - მ ა ი ს ი										
		I კვირა	12	16	17	18	19	20	23	1	23-5	14-15
1	კვლევის ინსტრუმენტების მომზადება											
2	კვლევა თბილისში (ჩვილ ბავშვთა მიმღები ოჯახები)											
3	კვლევა თბილისში											
4	კვლევა თელავი											
5	კვლევა ზუგდიდში											
6	კვლევა ბათუმში											
7	კვლევა ქუთაისში											
8	კვლევა რუსთავში											
9	კვლევა თიანეთში											
10	ტრანსკრიპტის მომზადება											
11	ანგარიშის მომზადება											

3. შედეგები

მიმღები ოჯახების მოძიების სისტემები

- **მოძიების მეთოდები**

კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიმღები ოჯახების მოძიების წინასწარ გაწერილი, სისტემატიზირებული მეთოდი არ არსებობს.

შვილობილობის შემთხვევების სრული უმრავლესობა ნათესაური კავშირით გაშვილობილებას წარმოადგენს. სოციალური მუშაკები ბავშვთა სახლში არსებული ბავშვის ნათესავების მოძიებას და მათთვის შვილობილობის შეთავაზებას ახდენენ.

”თითქმის არ გვქონია შემთხვევა, როცა ობოლ ბავშვზე უარი ეთქვას მიმღებ ოჯახს ნათესაური კავშირის გამო.”

იშვიათად ხდება ბავშვის ნაცნობების მოძიება და აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის შეთავაზება.

"ეს არის იშვიათად მაგრამ მაინც თავს იჩენს ისეთი შვილობილობა, რომელიც ნაცნობობაზეა დაფუძნებული, ბუნებრივია ჩვენც ვეძებთ ისეთ მიმღებ ოჯახს, რომ ბავშვს ოჯახი იცნობს ძალიან შორიდან... ამას ნათესაური არ ქვია, მაგრამ რაღაც კონტაქტები არსებობს, მათ ოჯახებს შორის, ჩენც ვემხრობით იმას, რომ იყოს რაღაც კონტაქტები მანამდეც, რომ შვილობილობის პროგრამა განვითარდეს უმტკივნეულოდ. ჩვენ თვითონაც გვაინტერესებს ეს რომ სულ მთლად უცხო და გაუცხოვებულ სიტუაციაში არ მოვახვედროთ თავიდანვე ბავშვი."

მიმღები მშობლების დიდ ნაწილს წარმოადგენენ ბავშვთა სახლის ყოფილი თანამშრომლები, რომლებმაც პირველებმა შეიტყეს აღნიშნული პროგრამის შესახებ და თავად გამოთქვეს პროგრამაში ჩართვის სურვილი.

"მე მხედველობაში მაქვს ჩვილ ბავშვთა სახლი და ამ სახლის პერსონალი, იმიტომ რომ აქვთ ძალიან დაბალი ხელფასი, გამოცდილებაც ჰქონდათ, დაინტერესებაც ჰქონდათ".

სოციალური მუშაკები მოძიებისთვის საუკეთესო საშუალებას ინფორმაციის ფართო მასებში გავრცელებას მიიჩნევენ.

"ამ შემთხვევაში ჩვენი მოზიდვის მთავარი იარაღია, რომ ჩვენგან ინფორმაცია გავიდეს."

მნიშვნელოვანია, რომ პოტენციური მიმღები მშობლების დიდი ნაწილი თვითონ მიმართავს სოციალურ სამსახურს. თუმცა, ძირითადად არასწორი, ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე. ამას ადასტურებს ფაქტი, რომ ხდება შვილობილობის ტერმინის არევა შვილად აყვანასთან და მათი უმეტესობა შვილად აყვანის სურვილით მიდის სოციალურ მუშაკთან.

"ცოტა ინფორმაცია უკვე აქვს საზოგადოებას და არის შემთხვევები როცა თვითონ მოდიან და ადგილზე ვაძლევთ განმარტებებს."

"უფრო თვითონ მოდის საკმაოდ ბევრი ადამიანი, მაგრამ საბჭო ყველას არ ამტკიცებს მშობლებად, ან შეიძლება მათ კარგად არ ესმით, რა არის მიმღები მშობლობა და ჩვენ ვუხსნით. ბევრს უნდა შვილად აყვანა, ტერმინს სწორად ვერ იგებენ."

მიმღები მშობლების გამოგზავნა ხდება ასევე განათლების სამინისტროს აპარატის მხრიდან.

- **შეფასების სისტემა**

მიმღები ოჯახების შეფასებისას სოციალური მუშაკები ხელმძღვანელობენ სპეციალური წინასწარ შემუშავებული შეფასების ფორმით, რომელიც საერთოა ყველასთვის. გარდა მასში ჩამოთვლილი სტანდარტებისა, ასევე შეფასება ხდება ინდივიდუალურად თავიანთი პროფესიონალური შეხედულებების შესაბამისად. მიღებული ინფორმაციის ჭეშმარიტებას სოციალური მუშაკები ამოწმებენ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური წყაროებიდან.

"როცა მიდის ოჯახის შესწავლა, წერტილიც არ რჩება უყურადღებოდ: ნათესავი, ახლობელი, მეზობელი, აქედან ვიწყებთ შესწავლას."

"სხვა და სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას ვადარებთ, რომ უნდა დაემთხვას აუცილებლად ერთმანეთს, ისე სანდოობას ხომ ვერ გადავამოწმებთ და მაქსიმალურად ჩართულია ქსელი, რომ ყველა მხრიდან მოვიპოვოთ ინფორმაცია."

"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას ვიცნობთ, პატარა რაიონია, ჩვენ არასოდეს არ ვეყრდნობით ნაცნობურ ინფორმაციას, აუცილებელია... მე გარედან რომელიმე ოჯახზე ასე თუ ისე რაღაც წარმოდგენა მაქვს მაგრამ ვცდილობ, რომ ამ წარმოდენას არ დავეყრდნო, ყოველთვის ვცდილობ პროფესიონალურად შევიდე იმ ოჯახში."

<u>სოც. მუშაკები შეფასების შემდეგ კრიტერიუმებზე ამახვილებენ ყურადღებას[1]:</u>

- ბავშვის აყვანის სურვილის გამოხატვა და მოტივაცია
- ბავშვთან ურთიერთობის გამოცდილება
- არსებული ბიოლოგიური ბავშვების აღზრის დონე, მათი თვისებები
- ბავშვთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები
- კომუნიკაბელურობა, ზრუნვის და სითბოს გამოხატვის უნარი
- ოჯახის სოციალური დონე, საყოფაცხოვრებო პირობები, შემოსავალი
- ბავშვის მიღების სურვილის დონე ოჯახის ყველა წევრში
- ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის

- **პრობლემები მიმღები ოჯახების მოძიებისას**

კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიმღები მშობლების მოძიების და მოზიდვის ხელის შემშლელ ფაქტორებად გამოიკვეთა:

- შვილობილად აყვანის მსურველთა სიმცირე. ეს გამოწვეულია შვილად აყვანის მსურველების სიმრავლით, ასევე ადამიანების სხვაგვარად მომართული სტერეოტიპული ცნობიერებით.

"...ყველაზე მეტად ხელისშემშლელი რაც არის ეს არის მენტალიტეტი ხალხში, ჯერ

[1] კლასიფიცირებულია მნიშვნელოვნების მიხედვით

ჩამოყალიბებული არ არის აზრი ადამიანებში, რომ აუცილებლად უნდა გადადგას ვიღაცამ ნაბიჯი, რომ ამ მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს დაეხმარონ, გაუწიოს მორალური დახმარება, იქნება ის შვილობილი თუ სხვა სახის ქსელში ჩაებას, არ არის ჯერ ჩვენი ხალხის ცნობიერებაში...”

”პირველ რიგში ვთქვათ, თუკი ბავშვი პატარა არის მიმღები მშობლები გვეუბნებიან, რომ მე არავის არ დავუთმობ ბავშვს თუკი მე გავზრდი. ყველას უნდა რომ დაიტოვონ.”

”მინდა ავღნიშნო რომ ბევრმა შვილობილობა გაიგეს, შვილად აყვანა და ფაქტიურად ეს ხალხი იყო შვილად აყვანის მსურველი...”

”60% უფრო შვილობას ითხოვს, რომ გადაიზარდოს შემდგომ შვილობაში და 40% შვილობილობას.”

”კიდევ მოდიან ვისაც შვილად აყვანა უნდა და დიდი ხანია დგას [ეს საკითხი] განათლების სამინისტროში, ამას ვერ ახერხებს, მერე მოდიან და ზოგი შვილობილობაზეც თანახმაა უკვე. მხოლოდ ისეთ ბავშვზე, რომელიც პერსპექტივაში შვილად გადავა.”

- სრულყოფილი ინფორმაციის სიმცირე საზოგადოებაში.

”საერთო ინფორმაციის ნაკლებობა ყველა დონეზეა ხელის შემშლელი ფაქტორი.”

”ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მიიტანონ ეს ადრესატამდე, იმიტომ, რომ ხშირად იყო ინფორმაციის დამახინჯების მომენტები.”

”ძალიან ბევრჯერ მოსულან, აქ ბავშვებს აქირავებენო?! თვითონ ინფორმაცია არასწორად ვრცელდება.”

- მიმღები ოჯახის მხრიდან ინფორმაციის დამალვა/უნდობლობა სოც. მუშაკების მიმართ საწყის ეტაპზე.

”ხშირად ცდილობენ შეალამაზონ თავიანთი ოჯახური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა რომ ვაფრთხილებთ რომ ეს კონფიდენციალურია და არ გადის ჩვენს იქით ინფორმაცია, მაინც ცდილობენ თუ ვთქვათ რამე არასასურველი ფაქტებია მათ ოჯახში, დამალონ და უფრო ლამაზად წარმოაჩინონ, როგორც საკუთარი თავი, ისე ოჯახი მთლიანად.”

"ხშირად არის რომ მიდიხარ და ტყუილს გეუბნება, ზუსტად იცი რომ გატყუებს, გჭირდება სხვა მხრივ მიდგომა და მერე გეუბნება ყველაფერს სიმართლეს, გააჩნია როგორ შეხვალ კონტაქტში."

"ხშირად დედა მალავს, ოჯახში სულ სხვა რამეს ვნახულობთ, სხვამ რომ გაიგოს რა ვქნათო, არ გამჟღავნდესო."

"ერთი ოჯახი მაქვს რომელიც მეუბნებოდა, რად მინდა მე სოც. მუშაკი, მე ისეთი შვილი გავზარდე შენ რა უნდა მასწავლო ჩემს შვილზე პატარა ხარო. ეხლა პირიქით მეუბნება, როგორ მიხარია რომ მოხვედითო. ძალიან დიდი შრომის შედეგად მივაღწიეთ იმას რომ ურთიერთობა გაუმჯობესებულიყო."

- მიმღები ოჯახებისთვის წარსადგენად სავალდებულო საბუთების შეგროვების სირთულე, გამოწვეული ცნობების აღებასთან დაკავშირებული ხარჯებით და ინსტიტუციების ხელმიუწვდომლობით (როდესაც ცნობებისთვის რაიონებიდან თბილისში ჩამოსვლა უწევთ მშობლებს).

"ეს ცნობები ჯდება ძალიან ძვირი. შეიძლება მოვიდეს მშობელი და შემდეგ ამის გამო შეფერხდეს."

"მე მყავდა ისეთი მშობელი, რომელიც თვეებია ამზადებს ამ ცნობებს და ვერ დაამზადა ბოლომდე, მერე უკვე აღარ უნდა არაფერი."

"პოლიციიდან არის საჭირო ცნობის მოტანა, ესეც ძალიან ძნელია, რადგან თვითონ უნდა ჩავიდეს თბილისში დაწეროს განცხადება."

- თანხის სიმცირე და შეღავათების არ არსებობა, რაც აღნიშნული პროგრამით დაინტერესებას ამცირებს.

"არის პრობლემა ის, რომ მე ვისთანაც მქონია ურთიერთობა მშობლებთან, თანხა ეცოტავებათ, იმიტომ, რომ, როგორც ვიცით არ არის სხვა არანაირი დახმარება გამოყოფილი მშობლებზე, არც შეღავათები."

"ძალიან ხშირ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, რომ თანხა, ფინანსური დახმარება არ არის საკმარისი, 125 ლარია."

- შეუთანხმებლობა მიმღებ ოჯახში.

"ძალიან ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ოჯახის წევრი იღებს გადაწყვეტილებას და

დანარჩენ წევრებს არ უთანხმებს, ან მათი თანხმობა არის დაუფიქრებელი, ზედაპირული და შემდეგ ირკვევა, რომ მათ მაინცდამაინც არ უნდათ ბავშვი. თუმცა, მე არ მქონია შემთხვევა როდესაც უარი ეთქვას მთელ ოჯახს, თანდათან ხდება მათი დარწმუნება, რადგან თვითონ არ იცნობენ ამ საქმეს, როცა გაეცნობიან შემდეგ უკვე გადაწყვეტილებას ცვლიან."

- საკანონმდებლო შეზღუდვა, ბებიაზე შვილობილობის გაფორმების დაუშვებლობით.

"ხშირია, ძალიან ბევრია, რომ ბებიას უარს ეუბნებიან შვილობილობაზე, რომელიც მართლა ყველაფერს უკეთებს."

"მე მაქვს ასეთი შემთხვევა, მამა ინვალიდია, დედამ შვილი მიატოვა, ბებიას უნდა შვილობილობა და მიიღო უარი, რადგან კანონით არ არის."

საინფორმაციო კამპანია

- **ინფორმაციის გავრცელების მეთოდები**

ინფორმაციის გავრცელება ხდება სხვადასხვა მეთოდებით.

- ძირიდად ვრცელდება პირადი ურთიერთობების საშუალებით, პირისპირ საუბრებში. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული მიმღები ოჯახების როლი.

"თვითონ ეს მიმღები მშობლები ერთმანეთში ავრცელებენ იმფორმაციას."

"ვინც დღეს უკვე მიმღები მშობელია ის თავის გამოცდილებას, რამდენად კმაყოფილია, უკვე სხვას გადასცემს და ასე ხდება."

- ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

"პროგრამა ჰქონდა ,,ევრი ჩაილდს,, მოხალისეების პროგრამა, რომლებიც თავშეყრის ადგილებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, დაწესებულებებში შედიოდნენ, ატარებდნენ პრეზენტაციას ამ პროგრამის შესახებ და მერე იყო თხოვნა, რომ მათი ახლობლებისთვის გადაეცათ ეს მოსმენილი ყველაფერი. რიგდებოდა ბროშურები სადაც ინფორმაცია იყო სავსებით ამომწურავი."

"ცენტრალურ ტელევიზიაში სისტემატურად არის გადაცემა ბავშვის გაოჯახებაზე... იავნანა რომ

არის ჩართული, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს რომ ეხმარებიან."

- სოც. მუშაკები აკეთებენ პროგრამის პრეზენტაციებს, თუმცა არასისტემატიზირებულად. ინფორმაციის მიწოდების პირველად ადგილად სახელდება სკოლები. ასევე, ეკლესიები, ქუჩაში/სოფლის ბირჟები, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილები, პანსიონატები, საბავშვო ბაღები, ადგილობრივი გამგეობები. პრეზენტაციისას რიგდება ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები, თუ ასეთები გააჩნიათ.

"დავიწყეთ სკოლებიდან. სკოლა ხალხმრავალი ადგილია და უფრო ინტელექტუალური ადგილია, ვისაც უფრო შეუძლია გაიგოს, მოგვისმინოს, დეტალურად გაარკვიოს რა ხდება ამასთან დაკავშირებით ეს იყო სკოლები, მშობლები, პედაგოგები."

- ინფორმირება ხდება ასევე ტელევიზიის მეშვეობით, თუმცა სოც. მუშაკების განცხადებით არასაკმარისი ინფორმაცია ჟღერდება.

"ტელევიზიით რეკლამა კარგი გასაკეთებელია, კარგი სიუჟეტები კეთდება, მაგრამ არასწორ რაღაცეებს ამბობენ ხოლმე, შვილობილად ძლივს ვათქმევინე წლების წინ იმედზე და გაშვილება დაწერეს. თანხით დაინტერესებით მომაკითხა მშობელმა, ახალი პროგრამა ყოფილა 100 ლარიანიო. სულ რაღაცა ნიუანსებია, ეს არის კარგად გასაკეთებელი, დახვეწილად უნდა გაკეთდეს რეკლამა მშობლების მოზიდვის თვალსაზრისით."

- **პირველადი საინფორმაციო წყაროები**

როგორც მიმღები მშობლები აღნიშნავენ სოც. მუშაკებთან საუბრებში მათ დიდ ნაწილს ინფორმაცია პირველად მიღებული აქვს პირისპირ ურთიერთობაში მეზობელთან, ნათესავთან, მეგობართან და სხვა. ასევე ინფორმაციის წყაროდ სახელდება სოც. მუშაკი, განათლების სამინისტრო, საინფორმაციო ბუკლეტი, სატელევიზიო სიუჟეტი.

- **საინფორმაციო კამპანიის შეფასება**

საინფორმაციო კამპანიის შეფასებაში ყველა სოციალური მუშაკი ერსულოვანია და აღნიშნავს, რომ ის საინფორმაციო კამპანია, რაც განხორციელებულა და ხორციელდება არ არის საკმარისი.

ინფორმაციის სიმცირე მნიშნველოვანი დამაბრკოლებელია ფაქტორია როგორც პროგრამასთან შესაბამისი ოჯახების მოზიდვისას, ასევე სოციალური მუშაკის მხრიდან სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებაში.

"საკმარისი ნამდვილად არ არის, რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება ტელევიზიით, პრესით, მასმედიით, ბუკლეტებით, რეკლამების სახით

ბილბორდებზე, კიდევ უფრო ათმაგად გამიადვილებს მე მუშაობას. ჩვენ რასაც ვაკეთებთ ინფორმაციულობის თავალსაზრისით, ეს არის რაღაც მინიმუმი, ზღვარს მიღმა პატარა წერტილი."

"როცა მივდივართ დაუშვათ ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარ ექიმთან და ვეუბნები, რომ მე ვარ სოც. მუშაკი, რა სოც. მუშაკიო, ვერ იგებს. მერე ვუხსნი, საბუთი ან ვიზიტკებიც არ გვაქვს." ... "ჩვენზეც, როგორც სოც. მუშაკებზე, ინფორმაცია ძალიან ცოტას აქვს იგივე ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებსაც."

სამომხმარებლო ქცევის დახასიათება

- **ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები**

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ძირითადად ინიციატორი ოჯახში ქალია. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას ოჯახი იღებს ერთობლივად. ამ პირობას უზრუნველყოფს თვითონ სოც. მუშაკიც. უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცის მხრიდან ინიციატივის გამოვლენის რამდენიმე შემთხვევა არსებობს, მაგრამ ტენდენცია ერთნაირია მთელი საქართველოს მასშტაბით.

"ქალი, იმიტომ, რომ ქალი არის ბავშვის აღმზრდელი".

"რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებას როდესაც ვიღებთ ვუკვირდებით ყველა ოჯახის წევრს, იმიტომ, რომ თუ შევხედე, რომ ბებიას აქვს უკმაყოფილო სახე და შეიძლება როდესაც დედა და მამა არ იქნება სახლში ბებიამ შეიძლება უთავაზოს ბავშვს..."

"ძირითადში განაცხადი შემოდის ქალებისგან, ხოლო როცა შვილად აყვანა უნდათ იქ მოდიან წყვილად ორივე."

მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ოჯახში არსებული ბიოლოგიური ბავშვები. სოც. მუშაკების მხრიდან ყოველთვის ხდება მათი აზრის გათვალისწინება. ისინი ძალიან დიდ როლს ასრულებენ ბავშვის ოჯახში ადაპტაციასა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბიოლოგიური ბავშვების მხრიდან დაფიქსირებულა წინააღმდეგობა ბავშვის მიღებაზე, ყოფილა ეჭვიანობაც, მაგრამ სოც. მუშაკების აქტიური მონაწილეობით და პირადი გასაუბრებებით ეს პრობლემა გადაიჭრა.

"მე მყავს ასეთი ოჯახი, ჰყავთ ორი მე-8 და მე-9 კლასელი ბავშვი, შვილობილი მე-4 კლასელია, ეს ძალიან რთული ბავშვი იყო, რადგანაც იზრდებოდა ძირითადად ქუჩაში, ოჯახში რომ

გადავიყვანეთ და იქ დახვდნენ ძალიან კარგი ბავშვები, ისიც მათ ბაძავს."

"მშობელმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ ბიოლოგიური შვილების აზრებსაც და სურვილებსაც ვითვალისწინებთ."

- **შვილობილის აყვანის მოტივები**

სახელდება შვილობილის აყვანის შემდეგი მოტივები: ქველმოქმედება/კეთილი ნება; რელიგიური მიდგომა: "*მადლია*"; სიბრალულის გრძნობა; ფინანსური დაინტერესება; ნათესაური კავშირი; დედური ინსტინქტი; მარტოხელა მშობლის შემთხვევაში მარტოობის გრძნობის დაძლევა; შვილის ყოლის სურვილი; საკუთარი უნარების, ცოდნის და ტრადიციების სხვისთვის გადაცემის სურვილი.

"ძირითადად კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. უნდათ ბავშვების დახმარება უმეტესობას."

"სურთ, რომ ცოტა მეტი შემოსავალი ჰქონდეთ. ეს თანდათან იკვეთება, მაგრამ ცუდი მხრიდან არა. ეს არის მათთვის სამუშაო, თანხას იღებენ, თუმცა შემდეგ ეს ფინანსური ინტერესი, როდესაც ბავშვებთან იწყებენ მუშაობას, გადადის უკანა პლანზე და წინ უკვე სხვა მომენტები მოდის."

- **მოთხოვნები შვილობილის მიმართ**

დაინტერესება შვილობილის კონკრეტული მახასიათებლებით საკმაოდ მრავალფეროვანია. ხდება სასურველი ბავშვის გამორჩევა ჯანმრთელობის, ეროვნული, ასაკობრივი, სქესობრივი, რელიგიური ნიშნით.

ფოკუსური ჯგუფების დისკუსიის პროცესში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციების მიხედვით უმეტესწილად მცირე ასაკის, მაგრამ არა თოთო, სკოლამდელი ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი ქართველი გოგონას შვილობილობის სურვილი გამოითქმის.

"მნიშვნელოვანია ეროვნება. არ უნდათ თათარი ან ქურთი ბავშვი, უნდათ ქართველი. ასევე რელიგიას აქვს მნიშვნელობა, არ უნდათ მაჰმადიანები."

"გააჩნია რა აქვს განსაზღვრული მიმღებ მშობელს. შემდგომში თუ შვილად დატოვება უნდა, ყოველთვის დაბალ ასაკზეა საუბარი. თუ დროებითი ფოსტერია, იმისთვის არ აქვს მნიშვნელობა."

თუმცა, მიუხედავად მოთხოვნებისა საბოლოოდ მშობლები თანხმდებიან ნებისმიერ შემოთავაზებულ ჯანმრთელ ბავშვზე, თუ, რა თქმა უნდა, ნათესაური შვილობილობა არაა და კონკრეტული ბავშვი არ მიჰყავთ.

"როცა მოდიან აქვთ რაღაც ჩამოყალიბებული აზრი, რომ ბავშვი უნდა იყოს ასეთი, ამ ასაკის, ამ სქესის, არ უნდა ყავდეს ვინმე, ვთქვათ ფსიქიურად დაავადებული, მაგრამ როდესაც უკვე აქვთ უშუალო შეხება ბავშვთან, ნახულობენ, მერე უკვე ეცვლებათ დამოკიდებულება ნახვის შემდეგ."

- **საზოგადოების განწყობა**

როგორც სოციალური მუშაკები აღნიშნავენ საზოგადოებრივი განწყობა პროგრამის, მიმღები ოჯახების და შვილობილი ბავშვების მიმართ დადებითია ყველგან, მთელი საქართველოს მასშტაბით.

"ნამდვილად ძალიან კარგი განწყობაა. ვინმეს რომ გაეგო და არ ეთქვას: რა მადლია, რა კარგ საქმეს ემსახურებითო, ასეთი შემთხვევა ჩვენ არ გვქონია."

დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა როდესაც საზოგადოების გარკვეულ წრეებში ბავშვის აღზრდაში ფულის აღება სამარცხვინოდ ჩათვალეს, თუმცა, სოც. მუშაკების ახსნა-განმარტების საფუძველზე აღნიშნული ეჭვი გაქარწყლდა. ეს იგივე პრობლემაა, რომელიც ზემოთ მიმღები ოჯახების მოძიების ხელისშემშლელ ფაქტორებში გამოვყავით - ადამიანების სხვაგვარად მომართული სტერეოტიპული ცნობიერება.

"ჩვენთან სირცხვილად ითვლება რომ ადამიანმა ასე იმუშაოს. სხვისი შვილი აღზარდოს, და ამაში თანხა აიღოს. ფიქრობენ, რომ ეს უნდა გააკეთოს უანგაროთ, თუმცა თვითონ არა აკეთებენ. აკრიტიკებენ და ეჭვის თვალით უყურებენ, თუმცა გვქონდა შემთხვევა როდესაც დარწმუნდნენ რომ ეს ასე არ იყო."

- **მიმღები ოჯახების პრობლემები და დაბრკოლებები**

ძირითადი პრობლემები, რომლებსაც მიმღები ოჯახები აწყდებიან შვილობილის აღზრდისას ეს არის ბავშვების თავშესაფრიდან მოყოლილი ფსიქოლოგიური ტრავმები და მავნე ჩვევები. რამდენიმე შემთხვევაში ამან შვილობილის დაბრუნების საფრთხე შექმნა. თუმცა, სოც. მუშაკების აქტიური ჩარევით ბავშვი შენარჩუნდა მიმღებ ოჯახში.

"რთული სამართავია, ძნელად აღსაზრდელია, თუნდაც მისივე ნათესავისა იყოს და, რა თქმა უნდა, ბავშვის ქცევასთან და დამორჩილებასთან იქნება მიმღებ მშობელსა და ბავშვს შორის პრობლემა და ამ დროს ვერევი."

"განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, როდესაც გადაგვყავს ოჯახში, მოლოდინებს ვერ ამართლებენ, თითქოს თავიდან ისინი ციხის გალიიდან გაშვებულს ჰგვანან, ყველაფრის ჭამა

უნდათ, გაუმაძღრობის შეგრძნება აქვთ, ყველაფერი თავისთვის უნდათ და ხშირად ისინი შენიშვნებს აძლევენ, რათა უნდათ გამოასწორონ, მაგრამ ამას მოსდევს უკუშექცევები."

მიმღები მშობლები თავიდან ვერ აცნობიერებენ შვილობილის აყვანის და აღზრდის მთელს სირთულეს; სოც. მუშაკები პირისპირ საუბრებში და განხორციელებული ტრეინინგების მეშვეობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მიმღებ მშობლებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკითხის მთელი სერიოზულობით გაცნობიერებაში. რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ თავიდან შვილობილის აყვანის სურვილს მეტი ადამიანი გამოთქვამს, ტრენინგების და ხშირი გასაუბრებების შემდეგ კი ქმედებას გამოხატავს და მიჰყავს ბავშვი თავშესაფრიდან მხოლოდ რამდენიმეს.

"ვისაც აქვს გარკვეული გამოცდილება ბავშვებთან ურთიერთობის ის აცნობიერებს რაზე მიდის და რა გადაწყვეტილებას იღებს და ის ადამინი, რომელსაც არ ქონია ასეთი გამოცდილება და მის ოჯახში ბავშვი არ ყოფილა, მათ ბოლომდე არა აქვთ გათვითცნობიერებული და ჩვენ ყოველთვის ვაფრთხილებთ."

პროგრამის შეფასება

- **სოც. მუშაკის სამუშაო პირობების შეფასება**

სამუშაო პირობების მიმართ სოც. მუშაკები შემდეგ შემაფერხებელ გარემოებებს ასახელებენ: კადრების სიმცირე; ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების სიმწირე.

"რაც შორს არის მიმღები ოჯახი ტერიტორიულად, რა თქმა უნდა გვიჭირს ურთიერთობა. რომ გაიგზავნება მიმღებ ოჯახში, უფრო ხშირად უნდა მისვლა. კანონმდებლობით, ჩვენ თვეში ერთხელ უნდა წავიდეთ, მაგრამ თავიდან ეს შეიძლება ძალიან ცოტა იყოს. ფინანსები არ გვყოფნის." ..."ყველას კომპიუტერი არა გვაქვს..." ..."კადრები არის დეფიციტი, მე მირჩევნაია, ოზურგეთში, ოზურგეთის სოც. მუშაკებმა გაუწიონ კონსულტაცია ოჯახებს და მოხდება გადაბარება, ვიდრე მე აქედან ვიარო... უფრო მონიტორინგი იქნება ხშირი და უფრო კონტროლირებადი იქნება ყველაფერი."

- **შვილობილობის პროგრამის ნაკლოვანებები**

  - თანხის სიმცირე. ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებად გამოიყოს აღნიშნულ პროგრამაში. როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, თანხა მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია მიმღები ოჯახების მოზიდვაში. ამასთანავე, სოც. მუშაკების უმეტესობა მიიჩნევს,

რომ თანხის გაზრდა პროგრამის ფართო მასშტაბებით განხორციელებას შეუწყობს ხელს და მეტ მიმღებ ოჯახს მოიზიდავს.

"მინიმუმი 200 ლარი უნდა ჰქონდეს, ავიღოთ ერთი ადამიანის სამომხმარებლო კალათა არის 175 ლარი. ბავშვს სჭირდება მიიღოს საკვები, სამედიცინო დახმარება, ბევრი სხვა რამ და ხომ ხედავთ რომ ჩვენი 125 ლარი მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს და აღარ არის ლაპარაკი ამ ადამინის ხელფასზე..."

"სამტრედიაში ჩვენ რომ გვქონდა შეხვედრა, ზუსტად თანხით ვერ მოიხიბლა ეს პედკოლექტივი და თქვეს, რომ ეს ძალიან ცოტაა".

სასურველი ფულადი ანაზღაურება ჯანმრთელ ბავშვზე რეგიონებში სახელდება მინიმუმ 200 ლარი; თბილისში - 300 ლარი.

- ინფორმაციის სიმცირე ყველა დონეზე.

"ის საინფორმაციო კამპანია, რაც აღნიშნულ პროგრამაზე განხორციელდა არ იყო საკმარისი, ვინაიდან ინფორმაცია საზოგადოებას არ აქვს, არასაკმარისი აქვს ან არასწორი აქვს."

"ყველაზე ხშირად ხდება ტერმინის არევა და შვილობილის ნაცვლად შვილად აყვანის მსურველები მოდიან."

- სახელისუფლებო სტრუქტურების პასიურობა. სოციალური მუშაკები ხელისშემშელელ ფაქტორად გამოყოფენ პასიურობას სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან. ამის მიზეზად მოხელეების არაინფორმატიულობა, როგორც პროგრამის ისე, თვითონ სოციალური მუშაკის სამსახურის შესახებ და არასერიოზული დამოკიდებულება სახელდება.

"პრობლემები ის, არის რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან რამდენჯერაც მოთხოვნები გვექნება, რომ რაღაც სერვისები მოვიპოვოთ სულ რაღაც ან ქალაქის მერი იცვლება, ან არ გვაძლევენ".

"არანაირად არ გვეხმარებიან ეს არის ჩვენი პრობლემა."

- ბიოლოგიური მშობლების უფლებები. ბიოლოგიური მშობლის თანხმობის არქონა და რიგ შემთხვევებში, ჩარევა ბავშვის აღზრდაში მნიშვნელოვან წინაღობად სახელდება.

"ეს იყო ყველაზე დიდი წინააღმდეგობა და დღესაც იგივე რჩება, ბიოლოგიური მშობლების დათანხმება იმაზე, რომ საკუთარი ბავშვები გავაგზავნოთ ამ ოჯახებში."

"არის შემთხვევები როდესაც რეალურად არც აკითხავს მშობელი და წლობით არის წასული და ჩვენ ვიცით რომ ეს ბავშვი ძალინ ცუდ სიტუაციაში იმყოფება ისტიტუციაში. ვერ ვკიდებთ ხელს და ვერ გამოგვყავს, იმიტომ, რომ კანონმდებლობა არ გვაძლევს ამის საშუალებას."

- პროგრამით გათვალისწინებული უპირატესობის სარგებლობის სირთულე.

"საქართველოს მასშტაბით თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მშობელს, რომელსაც ეს სტაჟში ჩაუწერეს."

"კანონმდებლობით ეკუთვნით ამ ხალხს გარკვეული შეღავათები, რომლებსაც სამწუხაროდ ვერ იღებენ. საგადასახადო შეღავათები და პლუს სტაჟი, ეს ყველამ იცის და ამის გაფორმება ვერ ხერხდება."

"ოჯახს, რომელიც აიყვანს, არ ექვითება საშემოსავლო თუ არის სახელმწიფო სამსახურში. ურთულესი პროცესია, რომ ეს კანონმდებლობა ავამოქმედოთ და არ დაექვითოს ის".

- შვილობილების უპერსპექტივო მომავალი. არ არის გათვალისწინებული შვილობილობის შემდგომი დასაქმება და საცხოვრებელი პირობები, რაც სოც. მუშაკების თქმით პროგრამის მნიშვნელოვანი ნაკლია.

"საზოგადოებისგან, ეს იყო, რომ დაუშვათ ჩვენ ეს ბავშვი ავიყვანეთ, მივხედეთ, რაღაც ეტაპზე გახდა 18 წლის... საკუთარი შვილების დასაქმება გვიჭირს, საკუთარი შვილების გზაზე დადგომა, რომ დავასაქმოთ. ეს ბავშვი ჩემთან რომ 2 და 3 წელი იცხოვრებს, ჩვენ ხომ მას ხელს ვერ ვკრავთ და ვერ გავუშვებთ, რომ სახელმწიფო ფულს არ გვიხდის, ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ მაგრამ რა გავაკეთოთ შემდეგ?... და ამაზე პასუხის გაცემა მე პირადად როგორც სოციალურ მუშაკს მიჭირს."

- შეღავათების და პრივილეგიების, დაზღვევების არ არსებობა.

"კარგი იქნება, თუკი კანონმდებლობაში ჩაიდება, რომ ამ ბავშვებს ექნებათ უფასო ერთჯერადი სამედიცინო გამოკვლევა მაინც სანამ გადავიყვანთ ან შვილობილობაში ან რეინტეგრაციაში. "

"თუ პოლისები მაინც არ მოგვარდა ან სხვა სისტემაზე არ გადავედით, ალბათ ძალიან გართულდება."

"მე მქონდა შემთხვევა როდესაც ბავშვზე ყველა უარს ამბობდა, რადგან მას ჰქონდა ბევრი ქრონიკული დაავადება."

"მოგვაქვს ისეთი ჯანმრთელობის ცნობა ინსტიტუციიდან, რომ ბავშვი არის ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელი და შეიძლება იყოს ფსიქიურად დაავადებული. აუცილებლად მე ზურგს უნდა მიმაგრებდეს ფსიქიატრის დასკვნა."

- არასაკმარისი თრენინგი მიმღები ოჯახებისთვის და სოც. მუშაკებისთვის.

"კანონის ცოდნას მოვითხოვ, ჯგუფში ძალადობის შესახებ, შვილობილობის შესახებ, კონვენციას, სიღარიბის პროგრამას რაც ახორციელებს. იმიტომ, რომ ეს გვჭირდება ჩვენ. იმასაც კი ვსწავლობთ პენსიონერებს რა ეკუთვნის, მარჩენალ დაკარგულს რა ეკუთვნის, ყველამ ვიცით ამის შესახებ თითოეულმა ჩვენმა სოციალურმა მუშაკმა. იმიტომ, რომ ოჯახში, ამ ბავშვის პრობლემა არის გამოწვეული კიდევ სხვა პრობლემებით."

"ტრენინგი არასაკმარისი და მოძველებულია..." ..."განახლებული უნდა იქნეს მაგალითებით/ კონკრეტული შემთხვევების განხილვით."

- **არსებული ტრენინგის შეფასება**

არსებულ ტრენინგებს დადებითან აფასებენ სოც. მუშაკები. მათ კარგად აქვთ გააზრებული ტრენინგის მნიშვნელობა და აუცილებლობა. თუმცა, აღნიშნავენ, რომ ეს არასაკმარისია და მასალებიც გადასახალისებელია.

<u>სოციალური მუშაკების მოსაზრებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ნაკლოვანებები:</u>

- შვილობილობის განხორციელების შემდეგ ტრენინგების არ არსებობა;
- კონკრეტული სპეციალისტების, ფსიქოლოგის და იურისტის, არ არსებობა;
- სხვადასხვა მაგალითების და სხვისი გამოცდილების ნაკლებობა მასალებში;
- მიმღები მშობლების ეფექტურად მოზიდვის ხერხების არ არსებობა;
- მოქმედი კანონმდებლობის საკითხების ნაკლებობა;
- ტრენინგების არ არსებობა ინსტიტუციის ხელმძღვანელობისთვის, რათა აქტიურად ჩაებან პროგრამაში;
- ტექნიკური საშუალებების არ არსებობა, რათა ფილმების მეშვეობით მოხდეს მაგალითების ჩვენება;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესების შესწავლა მიმღები ოჯახებისთვის უნარშეზღუდული შვილობილის შემთხვევაში.

4. იდეალური მიმღები ოჯახი

პროექციული მეთოდის გამოყენებით სოციალური მუშაკები ახასიათებდნენ მათი შეხედულებით „იდეალურ მიმღებ ოჯახს".

<u>მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი დახასიათება:</u>

იდეალურ მიმღებ ოჯახი უნდა იყოს მყარი შემოსავლის მქონე შეძლებული ოჯახი, ბავშვისთვის უნდა ჰქონდეთ ცალკე ოთახი, საწოლი, მაგიდა, სამეცადინო კუთხე; უნდა არსებობდეს 30-55 წლამდე ასაკის ორივე მშობელი, რომლებიც უნდა იყვნენ განათლებულნი და ჯანმრთელნი; საუკეთესოა იყვნენ პროფესიით პედაგოგები ან ექიმები; პიროვნული თვისებებიდან მნიშვნელოვანია იყვნენ: კეთილშობილნი, თბილი და მზრუნველნი, ყურადღებიანი, მომთმენი და დამთმობი, პასუხისმგებლიანი, თავდაჯერებულნი, ნებისყოფიანი, გამოცდილნი ბავშვების აღზრდაში, ბავშვების მოყვარულნი, მშვიდი, ურთიერთმოსიყვარულე, შრომისმოყვარულნი, გაწონასწორებული, ტრადიციების მიმდევარნი; უნდა არსებობდეს ბავშვის მიღების დიდი სურვილი ოჯახის ყველა წევრში.

<u>ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად სოც. მუშაკები გამოყოფენ:</u>

- ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილებას;
- სტაბილურ ფინანსურ შემოსავალს და აღზრდისთვის სათანადო მატერიალურ პირობებს;
- სითბოს და მზურველობის გამოხატვის უნარს;

5. სოციალური მუშაკების რეკომენდაციები

<u>**სოციალური მუშაკები შემდეგ რეკომენდაციებს აყალიბებენ:**</u>

- ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და სახელმწიფო სტრუქტურების მეტი ინფორმირება;
- ბავშვებთან ტრენინგის დაწესება;
- ბიოლოგიურ მშობლებთან აქტიური მუშაობა;
- კონკრეტული სპეციალისტების ჩართვა: ფსიქოლოგები, ექიმები და იურისტები; უფასო კონსულტაციები;
- საკანონმდებლო ცვლილება სახელმწიფო მოხელეთა აქტიური ჩართვის უზრუნველოფით და ბიოლოგიური დედის უფლებების შემცირებით;
- სამედიცინო დაზღვევა; უფასო სამედიცინო დახმარება შვილობილის ავადმყოფობის შესაბამისად;
- მიმღები მშობლების პრობლემების ინტენსიური ურთიერთგაზიარება; ხშირი შეხვედრები;
- უცხო ქვეყნის გამოცდელებიდან მაგალითების შესწავლა;
- საზოგადოებისგან მიმღები მშობლების აღიარება და წახალისება. მაგალითად, მინისტრის პერიოდული მიმართვა;
- უფასო კურსების დაწესება ბავშვებისთვის, სხვადასხვა წრეებში ჩართვა, დასასვენებელი საგზურებით უზრუნველყოფა საქართველოს მასშტაბით;

- წარსადგენად საჭირო საბუთებზე ფასდაკლება ან უფასოდ გაცემა;
- ფართო საზოგადოებასთან მუშაობა მენტალიტეტის შესაცვლელად, *"რომ არ მიაჩნდეთ ცუდ ტონად ბავშვის აღზრდა და ამაში ანაზღაურების მიღება";*
- არსებული და პოტენციური მიმღები მშობლების ბანკის შექმნა;
- უნარშეზღუდული ბავშვების სიცოცხლის დაზღვევა, რათა დაკრძალვის ხარჯები იყოს გათვალისწინებული.